საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №24/ნ
2014 წლის 5 მარტი

ქ. თბილისი

„უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების – დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილების და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების – დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 110725031, 28.07.2011; სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016163) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის ფორმის” (დანართი №1):

1. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

,,5^1. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში, სასულიერო წოდება და სასულიერო სახელი (მათი არსებობის შემთხვევაში), დიპლომში მიეთითება ამ მუხლის მე-5 პუნქტის ,,ლ“ ან/და ,,მ“ ქვეპუნქტებში მითითებული სახელის ნაცვლად, ხოლო სახელი მიეთითება როგორც დამატებითი ინფორმაცია.“

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

,,2^1. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დიპლომის გაცემის შემთხვევაში, სასულიერო სახელი და სასულიერო წოდება (მათი არსებობის შემთხვევაში) მიეთითება იმ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელის სახელის ნაცვლად, რომელიც არის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფლებამონაცვლე ან ახორციელებს შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო სახელი მიეთითება როგორც დამატებითი ინფორმაცია.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **თამარ სანიკიძე**